მაია ნიკურაძე, ნათია ხუსკივაძე, მაია ბოლათაევი

რისებას უნივერსიტეტი, რიგა

Erasmus+ ადმინისტრაციული მობილობის პროგრამის ფარგლებში ვიმყოფებოდით ქ. რიგის რისებას უნივერსიტეტში (RISEBA University of Applied Sciences). ვინაიდან ამ პროგრამის ფარგლებში გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია, კოლეგების საქმიანობის გაცნობისა და გამოცდილების გადაცემის კუთხით შევხვდით რისებას უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის, ხარისხის ცენტრისა და კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელებს.

შეხვედრებზე ვისაუბრეთ ყველა მნიშვნელოვან და მათთვის საინტერესო საკითხებზე: მათ შორის, სტუდენტთა მომსახურების ცენტრის შექმნის მიზნობრიობასა და სტუდენტების მომსახურების ხარისხზე. ვისაუბრეთ სასწავლო და საგამოცდო პროცესების დაგეგმვისა და ჩატარების შესახებ, ასევე გავაცანით ჩვენი გამოცდილება უნივერსიტეტის სტუდენტების საჭიროებებზე მორგებულ ონლაინ პროგრამაზე და ვაჩვენეთ ტექნიკურად როგორ მუშაობდა პროგრამა. ასევე გავუზიარეთ ინფორმაცია ჩვენი სტუდენტებისა და დამსაქმებლების თანამშრომლობასა და დასაქმების ფორუმებსა და შეხვედრებში მათი ჩართულობაზე.

ძალიან დიდი დაინტერესება გამოიწვია ინფორმაციამ უნივერსიტეტში მოქმედი ორმაგი პროგრამებისა და საერთაშორისო აკრედიტაციის AACSB-ის პროცესების წარმატებულად გავლილი ეტაპების შესახებ.